



სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საგამოძიებო ფუნქციები

და სისხლის სამართლის საქმეთა განაწილება საგამოძიებო სტრუქტურებში

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი

სარჩევი

შესავალი	3
გენერალური პროკურორის ბრძანება საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის თაობაზე.....	4
დაუსაბუთებელი და გაუმჭირვალე გადაწყვეტილებების მიღების რისკები.....	4
კომპეტენციათა დუბლირება და პარალელური საგამოძიებო სისტემები	5
სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური	7
საპოლიციო ფუნქციების შეთავსება და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკები	7
კორუფციის შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიება	8
რეკომენდაციები.....	9

შესავალი

პოლიცია და საგამომიებო უფლებამოსილების მქონე სტრუქტურები ყოველდღიურად ზემოქმედებენ ადამიანების ცხოვრებაზე, საჯარო წესრიგის დაცვასა და სისხლის სამართლის პოლიტიკაზე. საქართველოს საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით ერგო არაეფექტიანი საგამომიებო სტრუქტურები, კადრების ნეპოტიზმითა და პირადი კონტაქტებით დანიშვნის მრავალწლიანი პრაქტიკით, კორუმპირებული პერსონალითა და ნომენკლატურით.¹ 2003 წლის შემდეგ, ახალი სახელმწიფო ინსტიტუტების შექმნისა და რადიკალური რეფორმების მიუხედავად, უსაფრთხოების სექტორში გატარებულმა სტრუქტურულმა ცვლილებებმა შედეგად ვერ მოიტანა საგამომიებო უწყებების დეპოლიტიზაცია. პირიქით, საგამომიებო ორგანოები და უსაფრთხოების სამსახურები იქცა პოლიტიკური ანგარიშსწორების და ტოტალური კონტროლის იარაღად. უსაფრთხოების სამსახურების და საგამომიებო სტრუქტურების დამოუკიდებლობა ვერც 2012 წლის შემდეგ განხორციელებული ფორმალური ცვლილებებით უზრუნველყო. პოლიტიზაცია, დამოუკიდებლობის ნაკლებობა, მიდრეკილებები ტოტალური კონტროლისკენ, სტრუქტურათა დუბლირებული კომპეტენციები, რესურსების არარაციონალური ხარჯვა, არასაკმარისი საპარლამენტო ზედამხედველობა, გაუმჭვირვალობა, ანგარიშვალდებულების დაბალი დონე და სხვა, კვლავ რჩება საგამომიებო უწყებების უმნიშვნელოვანეს გამოწვევად.

2021 წლის 12 სექტემბერს ინტერნეტსივრცეში გამოქვეყნებულმა სავარაუდოდ, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურიდან გამოჟონილმა ფაილებმა გაამყარა საფუძვლიანი ეჭვი, რომ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, ნაცვლად სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის რისკების შემცველი ქმედებების იდენტიფიცირებისა და აღმოფხვრისა, ფარულად აყურადებს და აკონტროლებს მოქალაქეების გადაადგილებას, საუბარს, საბანკო გადარიცხვებსა თუ პირად ცხოვრებას.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტს მიაჩნია, რომ სხვა არაერთ სტრუქტურულ და საკანონმდებლო პრობლემასთან ერთად, რაც ხელს უწყობს უსაფრთხოების სექტორის პოლიტიზირებას და პირადი/პარტიული ინტერესებისათვის გამოყენებას, უსაფრთხოების სექტორთან დაკავშირებული გამოწვევები განპირობებულია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურში ფართო საგამომიებო, ანალიტიკური და სადაზვერვო კომპეტენციების თავმოყრით და ასევე, საგამომიებო სტრუქტურების კომპეტენციების ნაკლოვანი და არასრულყოფილი გადანაწილებით.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია ხელი შეუწყოს დისკუსიის დაწყებას სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის ცალკეული დანაშაულების გამომიების უფლებამოსილების ჩამოშორების აუცილებლობის თაობაზე, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობს საგამომიებო სტრუქტურების პოლიტიზირების შემცირებას.

¹ ფილიპ ჰ. ფლური და ედენ კოული, „რევოლუციიდან რეფორმამდე: საქართველოს ძალისხმევა დემოკრატიული ინსტიტუტების მშენებლობისა და უსაფრთხოების სექტორის რეფორმისთვის“, ვენა და ჟენევა, 2005, გვ.252. ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): https://www.files.ethz.ch/isn/15226/21_From_Revolution.pdf

გენერალური პროკურორის ბრძანება საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის თაობაზე

დაუსაბუთებელი და გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების რისკები

არსებული რეგულაციებით, სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობა მოწესრიგებულია არა კანონით, არამედ საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანებით². საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 35-ე და 36-ე მუხლების თანახმად, სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიულ საგამომიებო ქვემდებარეობას განსაზღვრავს საქართველოს გენერალური პროკურორი, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი.

უსაფრთხოების სექტორის სტრუქტურების ფუნქციონირება ნათლად დადგენილ, არაორაზროვან საკანონმდებლო ჩარჩოებში - დემოკრატიული განვითარების აუცილებელი წინაპირობაა.³ შესაბამისად, საგამომიებო და ტერიტორიულ საგამომიებო ქვემდებარეობის განსაზღვრა არა კანონქვემდებარე, არამედ პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტით, კარგ პრაქტიკას წარმოადგენს. საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის საკანონმდებლო დონეზე რეგულირება, საკანონმდებლო ორგანოს შესაძლებლობას მისცემს მკაფიოდ და არაორაზროვნად განსაზღვროს საგამომიებო სტრუქტურების ოპერირების მანდატი; ასევე, უზრუნველყოს ეფექტიანი საპარლამენტო კონტროლი და კონკრეტული საგამომიებო უწყებისათვის სათანადო საბიუჯეტო ხარჯების გამოყოფა. ამის საპირისპიროდ, საკანონმდებლო მოწესრიგების არარსებობა საპარლამენტო კონტროლისა და ლეგიტიმაციის ნაკლებობის მანიშნებელია.

დამატებით, საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის საკითხის არა კანონის, არამედ კანონქვემდებარე აქტის დონეზე მოწესრიგება ქმნის გენერალური პროკურორის მიერ დაუსაბუთებელი და გაუმჭვირვალე გადაწყვეტილებების მიღების რისკს. კანონმდებლობა გენერალურ პროკურორს არ ავალდებულებს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე.

გენერალური პროკურატურა საგამომიებო უფლებამოსილებით აღჭურვილი სტრუქტურაა. სადავოდ გამხდარი რეგულირება გენერალურ პროკურორს და მის მიერ უფლებამოსილ პირს ანიჭებს ზოგად უფლებამოსილებას, საგამომიებო ქვემდებარეობის მიუხედავად, სისხლის სამართლის საქმე ამოიღოს ერთი საგამომიებო ორგანოდან და სხვა ორგანოს გადასცეს.⁴ პროფესიულად დაინტერესებული ორგანოსთვის სისხლის სამართლის საქმეთა განაწილებასთან დაკავშირებით ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების უფლებამოსილების მინიჭება თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების

² საქართველოს გენერალური პროკურორის ბრძანება N3, „სისხლის სამართლის საქმეთა საგამომიებო და ტერიტორიული საგამომიებო ქვემდებარეობის განსაზღვრის შესახებ“, 23/08/2019.

³ თანამშრომლობის განვითარების დირექტორატისა (OECD) და განვითარების ხელშეწყობის კომიტეტის (DAC) „სახელმძღვანელო უსაფრთხოების სისტემის რეფორმის შესახებ (SSR), უსაფრთხოებისა და მართლმსაჯულების მხარდაჭერა“, 2007, გვ.89, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): <https://issat.dcaf.ch/Learn/Resource-Library/Policy-and-Research-Papers/OECD-DAC-Handbook-on-Security-Sector-Reform>

⁴ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი, მუხლი 33, მე-6 ნაწილი, „ა“ ქვეპუნქტი.

რისკებს ზრდის. კერძოდ, ერთპიროვნული გადაწყვეტილების მიღების შესაძლებლობა, გენერალურმა პროკურორმა შესაძლოა სხვადასხვა უწყებებზე ან უწყებებში მაღალ პოზიციებზე დანიშნულ/დასაქმებულ პირებზე კანონშეუსაბამო ზემოქმედებისათვის (დასჯის ან წახალისებისთვის) გამოიყენოს.

კომპეტენციათა დუბლირება და პარალელური საგამომიებო სისტემები

„პოლიციის შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს პოლიცია კანონმდებლობით მინიჭებულ ფარგლებში, ახორციელებს პრევენციულ და სამართალდარღვევაზე რეაგირების ღონისძიებებს საზოგადოებრივი უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის დასაცავად.⁵ მიუხედავად 2015 წელს განხორციელებული რეფორმისა, საქართველოში შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციები მკვეთრად არ გამიჯნულა. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ერთ-ერთ ფუნქციას გამოძიებაც წარმოადგენს.

შინაგან საქმეთა სამინისტროსა და სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის გარდა, გენერალური პროკურორის 2019 წლის 23 აგვისტოს N3 ბრძანების მიხედვით, საგამომიებო უფლებამოსილებებით ასევე აღჭურვილია შემდეგი ინსტიტუტები:

1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია - ინსპექციის გამომძიებლები უფლებამოსილნი არიან, ჩაატარონ წინასწარი საგამომიებო მოქმედება, სამინისტროს სისტემის მოსამსახურის მიერ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 332-335-ე, 337-342-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევაში;
2. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საგამომიებო დანაყოფის სამხედრო პოლიციის დეპარტამენტი, რომელიც თავისი კომპეტენციის ფარგლებში ახორციელებს ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას და სისხლის სამართლის საქმეთა გამოძიებას;
3. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სისტემაში სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების სტატუსით შემავალი სპეციალური სამართალდამცავი ორგანო - ფინანსური პოლიცია, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს საფინანსო-ეკონომიკურ სფეროში დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით მის ქვემდებარეობას მიკუთვნებულ საქმეთა გამოძიებას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ სხვა ფუნქციებს.

რიგ შემთხვევებში, აღნიშნულ ინსტიტუტებს შორის კომპეტენციები აღრეულია. სისხლის სამართლის საქმეზე საგამომიებო და ტერიტორიული ქვემდებარეობის განაწილების წესის მიხედვით, შესაძლებელია, ცალკეულ დანაშაულებზე სამმა ან ოთხმა საგამომიებო ორგანომ აწარმოოს გამოძიება. მაგალითისათვის, როგორც პრაქტიკა მოწმობს, სუს-ის ანტიკორუფციული დეპარტამენტი ხშირად იძიებს საქმეებს, რომლებიც თავისი არსით სახელმწიფოს უსაფრთხოებას ან ეკონომიკას მომეტებულ საფრთხეს არ უქმნის. ეს, ერთი მხრივ, იწვევს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის რესურსების გაუმართლებელ ხარჯვას, არარაციონალურ გადანაწილებას და მეორე მხრივ, ქმნის ადამიანის უფლებების

⁵ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კომპეტენციათა დუბლირება და პარალელური საგამომიებო სისტემები საქართველოში, 2020, თბილისი, გვ. 34.

დარღვევის რისკს, რაც ფუნქციების დუბლირებასა და ზოგადად, სისტემის არაეფექტიანობაზე მიუთითებს. სამი ან ოთხი საგამომიებო ორგანოს მიერ წარმოებული გამოძიება იმთავითვე ქმნის რეპრესიული ძალოვანი პოლიტიკის და ადამიანის უფლებების გაუმართლებელი შეზღუდვის რისკებს.

კომპეტენციების დუბლირება საქართველოში კორუფციული დანაშაულების გამომძიებელი სტრუქტურების მაგალითზე

სისხლის სამართლის კოდექსის (სსკ) მუხლი	ანტიკორუფციული სააგენტო	პროკურატურის საგამომიებო ნაწილი	ფინანსთა სამინისტროს საგამომიებო სამსახური	თავდაცვის სამინისტროს საგამომიებო დანაყოფი	იუსტიციის სამინისტროს გენერალური ინსპექცია
ამომჩევლის მოსყიდვა (სსკ-ს 164 ¹ მუხლი)	X	X	—	—	—
მითვისება ან გაფლანგვა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით (სსკ-ს 182 -2 „დ“ მუხლი)	—	X	X	—	—
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (სსკ-ს 194 მუხლი)	—	X	—	—	—
უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ს 220 მუხლი)	—	X	X	—	—
კომერციული მოსყიდვა (სსკ-ს 221 მუხლი)	—	X	X	—	—
სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება (სსკ-ს 332-ე მუხლი)	X	X	—	—	X
სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტება (სსკ-ს 333-ე მუხლი)	X	X	—	—	X
სამეწარმეო საქმიანობაში უკანონო მონაწილეობა (სსკ-ს 337-ე მუხლი)	X	X	—	—	X
ქრთამის აღება (სსკ-ს 338-ე მუხლი)	X	X	—	—	X
ქრთამის მიცემა (სსკ-ს 339-ე მუხლი)	X	X	—	—	X
ზეგავლენით ვაჭრობა (სსკ-ს 339 ¹ მუხლი)	X	X	—	—	X
კანონით აკრძალული საჩუქრის მიღება (სსკ-ს 340-ე მუხლი)	X	X	—	—	X

სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური

საპოლიციო ფუნქციების შეთავსება და უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების რისკები

უსაფრთხოების სამსახურებისთვის ფართო სადაზვერვო, ანალიტიკური და საგამომიებო უფლებამოსილებების მინიჭება, საიდუმლოების მაღალ ხარისხთან ერთად, ართულებს მათ კონტროლს და ქმნის თვითნებობისა და ძალაუფლების ბოროტად გამოყენების სივრცეს; განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როდესაც უსაფრთხოების სამსახურებზე საპარლამენტო და სასამართლოს კონტროლი სუსტია. აქედან გამომდინარე, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურების თვითნებობის თავიდან ასაცილებლად, კარგ პრაქტიკად ითვლება უსაფრთხოების სამსახურის ფუნქციების შესაბამის კანონმდებლობაში მკაფიოდ და მკაცრად რეგლამენტირება.

ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის რეკომენდაციის მიხედვით, შიდა უსაფრთხოების სამსახურებს არ უნდა ჰქონდეს მინიჭებული ისეთი უფლებამოსილებები, როგორებიცაა, სისხლის სამართლის საქმის გამოძიება, დაკავება და დაპატიმრება.⁶ ამ რეკომენდაციების შესაბამისად, დემოკრატიული სახელმწიფოების უმეტესობაში უსაფრთხოების სამსახურების მანდატი შეზღუდულია ინფორმაციის შეგროვებით, გადამუშავებით და გავრცელებით. უსაფრთხოების სამსახურებს, როგორც წესი, სამართალდამცავი უფლებამოსილებები არ აქვს მინიჭებული.

საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს მინიჭებული აქვს ფართო სადაზვერვო, საგამომიებო და ანალიტიკური უფლებამოსილებები. კანონის საფუძველზე მინიჭებულ უფლებამოსილებებს უსაფრთხოების სამსახური ხშირად იყენებს ისეთი ქმედებების გამოსაძიებლად, რომლებიც თავისი არსით, საპოლიციო გამოძიების სფეროს მიეკუთვნება. რიგ შემთხვევებში, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის თანამშრომლების მიერ დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების გამოვლენა ავტომატურად არის შესაბამის ქმედებაზე უსაფრთხოების სამსახურის მანდატის გავრცელების საფუძველი, ყოველგვარი დამატებითი წინაპირობების გარეშე. მითითებული კრიტერიუმით საგამომიებო ქვემდებარეობის საკითხის გადაწყვეტა, უსაფრთხოების სამსახურს შესაძლებლობას აძლევს გაცდეს კანონით განსაზღვრულ მანდატს და ბოროტად გამოიყენოს უფლებამოსილებები. აღნიშნული აჩენს ადამიანის უფლებების დარღვევის რისკებს და წინააღმდეგობაში მოდის საერთაშორისო სტანდარტებთან.⁷

საერთაშორისო რეკომენდაციების შესაბამისად, მიზანშეწონილია სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურმა სისხლის სამართლის საქმე გამოიძიოს **მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ქმედება თავისი არსით სახელმწიფოს უსაფრთხოებისათვის რისკის შემცველია.**

⁶ ევროპის საბჭოს საპარლამენტო ასამბლეის იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა კომიტეტი, შიდა უსაფრთხოების სამსახურების კონტროლი ევროპის საბჭოს წევრ ქვეყნებში, რეკომენდაცია 1402, ხელმისაწვდომია (ინგლისურ ენაზე): <http://assembly.coe.int/nw/xml/XRef/Xref-XML2HTML-en.asp?fileid=16689&lang=en>

⁷ დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი (DRI), სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური, კომპეტენციათა დუბლირება და პარალელური საგამომიებო სისტემები საქართველოში, 2020, თბილისი, გვ. 15.

კორუფციის შემთხვევების არაეფექტიანი გამოძიება

საუკეთესო საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კორუფციის წინააღმდეგ მებრძოლი უწყება უნდა იყოს დამოუკიდებელი, აპოლიტიკური და უნდა ჰქონდეს ანგარიშვალდებულების, გამჭვირვალობისა და ღიაობის მაღალი ხარისხი. რეკომენდაციების საპირისპიროდ, საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახური წარმოადგენს ერთ-ერთ ყველაზე დახურულ, გაუმჭვირვალე უწყებას, შესუსტებული საპარლამენტო კონტროლის მექანიზმებითა და ანგარიშვალდებულების დაბალი ხარისხით.

როგორც დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის მიერ საკითხის შესწავლამ აჩვენა, გენერალური პროკურატურის საგამოძიებო ნაწილის მიერ გამოძიებული, კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების ოდენობა მკვეთრად აღემატება სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს მიერ გამოძიებული საქმეების რაოდენობას. მაგალითისათვის, 2020 წელს საქართველოს გენერალურ პროკურატურაში კორუფციასთან დაკავშირებულ 169 სისხლის სამართლის საქმეზე დაიწყო გამოძიება.⁸ შედარებისათვის, ამავე პერიოდში სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ გამოძიება დაიწყო 66 სისხლის სამართლის საქმეზე. კიდევ უფრო თვალსაჩინოა სხვაობა გასულ წლებში: 2017 წელს - სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ გამოძიება დაიწყო 62 საქმეზე, პროკურატურამ 474-ზე; 2018 წელს სუს-ის ანტიკორუფციულმა სააგენტომ გამოძიება დაიწყო - 71, ხოლო პროკურატურამ - 638 საქმეზე; 2019 წელს სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს მაჩვენებელი იყო - 91, პროკურატურის კი - 655 საქმე. საგულისხმოა, რომ საქართველოს სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისათვის ბიუჯეტიდან გამოყოფილი სახსრები დაახლოებით 3-ჯერ აღემატება საქართველოს გენერალური პროკურატურის საბიუჯეტო დაფინანსებას. თავის მხრივ, სუს-ის დეპარტამენტებს შორის, ანტიკორუფციული სააგენტო ყველაზე მეტ სისხლის სამართლის საქმეს იძიებს.⁹

შესაბამისად, სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტოს (დეპარტამენტის) მიერ გამოძიებული საქმეების რაოდენობა მკვეთრად ჩამოუვარდება სამჯერ უფრო ნაკლები დაფინანსების მქონე გენერალური პროკურატურის მიერ გამოძიებულ, კორუფციასთან დაკავშირებული საქმეების რაოდენობას.

შესაბამისად, საგამოძიებო უწყებების ქვემდებარობის ჩარჩო და გამოძიების სტატისტიკური ანალიზი მიანიშნებს იმაზე, რომ სუს-ის ანტიკორუფციული სააგენტო მიზნობრივ ფუნქციას არ ასრულებს. სააგენტოსთვის გადაცემული საბიუჯეტო სახსრები, ადამიანური რესურსი და საგამოძიებო მოქმედებები მიმართულია სუს-ის სხვა (ბუნდოვან და გაურკვეველ) საქმიანობაზე.

⁸ საქართველოს გენერალური პროკურატურის 2020 წლის ანგარიში, გვ. 32. ხელმისაწვდომია: <https://pog.gov.ge/uploads/c7c23efb-generaluri-prokuraturis-saqmianobis-angarishi-2020-compressed.pdf>

⁹ 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი: <https://mof.ge/5261>; ასევე, 2021 წლის სახელმწიფო ბიუჯეტი ხელმისაწვდომია: <https://www.mof.ge/5355>

რეკომენდაციები

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი რეკომენდაციით მიმართავს

საქართველოს პარლამენტს:

- სისხლის სამართლის საქმეთა საგამოძიებო და ტერიტორიული საგამოძიებო ქვემდებარეობის განაწილება მოწესრიგდეს არა კანონქვემდებარე ნორმატიული აქტის, არამედ საკანონმდებლო დონეზე
- საკანონმდებლო ორგანომ უზრუნველყოს საგამოძიებო სტრუქტურათა ოპერირების მანდატის მაქსიმალურად ამომწურავი და არაორაზროვანი განსაზღვრა შესაბამისი საპარლამენტო ზედამხედველობის მექანიზმებით და ადეკვატური საბიუჯეტო დაფინანსებით
- სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ჩამოშორდეს საქართველოს სსკ-ს 142-ე, (ადამიანთა თანასწორუფლებიანობის დარღვევა) 142¹ (რასობრივი დისკრიმინაცია) 236-ე, (ცეცხლსასროლი იარაღის საბრძოლო მასალის, ფეთქებადი ნივთიერების ან ასაფეთქებელი მოწყობილობის მართლსაწინააღმდეგო შექმნა, შენახვა, ტარება, დამზადება, გადაზიდვა, გადაგზავნა ან გასაღება) 346-ე (საქართველოს სახელმწიფო აღმის უკანონოდ აღმართვა) და სხვა, ყველა იმ მუხლის გამოძიების უფლებამოსილება, რომლებიც თავისი შინაარსით ცალსახად არ ექცევიან სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის საქმიანობის მიმართულებებში. სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს დანაშაულის გამოძიების მანდატი შეუნარჩუნდეს მხოლოდ იმ შემთხვევებისთვის, როდესაც დანაშაული საფრთხეს უქმნის სახელმწიფოს უსაფრთხოებას
- კომპეტენციათა დუბლირების თავიდან ასაცილებლად, სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურს ჩამოშორდეს კორუფციული დანაშაულის გამოძიების მანდატი და გადაეცეს უფრო ეფექტურ საგამოძიებო უწყებას (საქართველოს გენერალურ პროკურატურას ან შექმნის შემთხვევაში, დამოუკიდებელ ანტიკორუფციულ სააგენტოს)
- საუკეთესო საერთაშორისო გამოცდილების შესაბამისად, დაიწყოს მსჯელობა სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურისთვის საგამოძიებო უფლებამოსილების განხორციელების მანდატის ჩამორთმევაზე.